ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 11/54

ქ. თბილისი 25 იანვარი 2013წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი დირექტორის მამუკა გოგატიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი“ (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №5) (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი გენ. დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა;

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებუ-ლებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ავტომანქანის ტექმომსახურების (toyota corolla, CPV-50112000) (შემდგომში „მომსახურება”) შესყიდვა, დანართი №1-ის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №5.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1 ხელშეკრულების ობიექტია შემსყიდველისთვის 2.1 პუნქტში მითითებული მომსახურებისმიწოდება.

3.2შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1532.00 (ათასხუთასოცდათორმეტი) ლარს

4.2 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 შემსყიდველი განახორციელებს ანგარიშსწორებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და/ან სათანადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის ვადაში.

7.4 ანაზღაურების ადგილი ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

– მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ;

– მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ფასის ანაზღაურება.

– მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 5 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის შესრულების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის

შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: 1) სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ქონების მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი ზვიად ეგაძე. 2) სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ჭიჭინაძე. 3) სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მძღოლი ნუგზარ კორკოტაძე.

15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2(ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

15.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

15.7 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

15.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

ხელშეკრულება ძალაშია შესაბამისი ვალდებულების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტო
ქ.თბილისი, დადიანი/გალაკტიონის
№13/18, ს/კ 204522793
სახელმწიფო ხაზინა
საქართველოს ეროვნული ბანკი
220101107
ა/ა 200122900

მ. გოგატიშვილი

მიმწოდებელი

შპს „თეგეტა მოტორსი“
ს/კ 202177205
ქ.თბილისი, აღნაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №5
სს „თი-ბი-სი ბანკის“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

გ. მშვილდაძე

დანართი №1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარში)	ჯამური ღირებულება (ლარში)
1	სამუხრუჭე დისკი წინა Toyota Corola	2ც	140.00	280.00
2	სამუხრუჭე ხუნდი წინა Rav4 III	1ც	110.00	110.00
3	წინა სტაბ. ილისა მც. Toyota Corola	1ც	35.00	35.00
4	სტაბ. ილისა წ/მჯ Toyota Corola	1ც	35.00	35.00
5	დაკიდების ბერკეტი მჯ. Toyota Corola	1ც	350.00	350.00
6	დაკიდების ბერკეტი მც. Toyota Corola	1ც	350.00	350.00
7	სამუხრუჭე ხუნდი უკანა Toyota Corola	1ც	100.00	100.00
8	ავტოტექმომსახურება	1ც	135.00	135.00
9	ძეთი ძრავის შელი 5w40 Helix Ultra 4L	4ლ	22.50	90.00
10	ფილტრი ზეთის Amc to-137 (H97W07)	1ც	10.00	10.00
11	ფილტრი ჰაერის J.P.FA-283s	1ც	13.00	13.00
12	ანთების სანთელი sp+31 fr 7 kcx+	4ც	6.00	24.00
			ჯამში:	1532.00 ლარი

ძრავის ზეთს და ფილტრის შეცვლის ფასი შედის მათ ღირებულებაში.

204522793